

## საქართველოს კათოლიკური მისიების ევროპული წყაროები

საქართველოს კათოლიკური მისიების ქართული და უცხოური წყაროების პუბლიკაციასა და შესწავლას ხანგძლივი ისტორია აქვს; სამეცნიერო სისტემატიკის საგნად ეს ისტორია მიხეილ თამარაშვილმა აქცია, რითაც სათავე დაუდო ამ წყაროების კვლევით ეტაპს. მის სახელსვე უკავშირდება საქართველოს კათოლიკური მისიების ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების ორენოვანი პუბლიკაციების მომზადება და მათი ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში (თამარაშვილი 1902/2011).

საბჭოთა პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, ამ წყაროების კვლევის ძირითადი ფოკუსი მაინც უფრო ფილოლოგიური იყო; თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, გარდა საკუთრივ რელიგიური პრობლემატიკისა, პოლიტიკური და იურიდიული ხასიათისაა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ისინი უმეტესწილად ეხება ევროპელი მისიონერებისა და რუსეთის იმპერიის სამართლებრივი ურთიერთობის საკითხებს, რუსი მოხელეების მხრიდან კათოლიკეთა ღია თუ ფარული დევნის ამსახველ ისტორიებს, ამასთანავე, ქართველი მეფეებისა და დიდებულების ურთიერთობას ევროპულ მისიებთან, ზოგადად, ევროპის სახელმწიფოებთან, მათს უმაღლეს სასულიერო და საერო პირებთან. ამდენად, ხანგძლივი ისტორიის მიუხედავად, ამ წყაროების კვლევა სხვადასხვა მეთოდოლოგიური პერსპექტივიდან მაინც მომავლის საქმედ რჩება.

საქართველოს კათოლიკური მისიების შესახებ იტალიაში დაცული დოკუმენტების აღწერისა და კვლევის მიზნით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2011-2012 წლებში კვლევითი ექსპედიცია მოაწყო რომში, პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის (*Archivio Storico de Propaganda Fide. Scritture non riferite. Monte Caucaso Giorgia*), თეათინელთა (*Archivio dei Teatini di Sant'Andrea della Valle*) და კაპუცინელთა მონასტრების (*Archivium generale Ordinis, Provincia: Giorgia, Missio Santa Sedis*), ასევე რომის აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაციის არქივში (*Sacra Congregazione per le Chiese*

orientali. Scritture riferite nei Congressi. Georgiani 1861-1892) დაცული დოკუმენტების შესწავლის მიზნით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში 2013 წლიდან დაიწყო ამ წყაროების ინტენსიური კვლევა და თარგმნა. დაიბეჭდა სტატიები ქართულ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში,<sup>1</sup> ამჟამად მუშავდება ორი სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის საერთაშორისო სადოქტორო კვლევითი პროექტი ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.<sup>2</sup> ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში გამოსაცემად მომზადდა ორტომიანი პუბლიკაცია: **უცნობი საქართველო. ქართულ-ევროპული წყაროები საისტორიო მენსიურების რეკონსტრუქციისათვის**. პირველ ტომში იბეჭდება იტალიური და ფრანგული წყაროები ქართული თარგმანებითურთ, ქართველი მეფეების, გიორგი მეთერთმეტის, ერეკლე მეორის, სოლომონ მეორის, არჩილ მეფის, მარიამ დედოფლის სიგელები, ასევე საქართველოს კათოლიკური მისიების რუსულენოვანი იურიდიული დოკუმენტები, კათოლიკური თემის, განსაკუთრებით, იტალიელი და ფრანგი კაპუცინელების ქართულენოვანი ტექსტები. მეორე ტომი არის მონოგრაფიული კვლევა, რომელსაც საფუძვლად დაედო ამ პროექტის ფარგლებში დამუშავებული სხვადასხვა თემატური ტექსტები.

2015 წლიდან მაია დამენია თავისი სადოქტორო კვლევის ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, ამუშავებს ტექნიკურ და წყაროთ-

1 კვლევითი პროექტის იდეა ეკუთვნოდა იმჟამინდელ მინისტრს, ბატონ ნიკა რურუას. მის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საელჩო ვატიკანში, განსაკუთრებით, ელჩი ქეთევან ბაგრატიონი. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მკვლევრები. ექსპედიციის დასრულების შემდეგ მოპოვებული მასალა და წყაროების პირველადი აღწერილობა შემდგომი კვლევის მიზნით გადაეცა აღნიშნულ უნივერსიტეტებს. დობორჯგინიძე 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017; დამენია 2017.

2 მაია დამენია ამუშავებს ვატიკანის პროპაგანდა ფიდეის საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტებს საქართველოს შესახებ, რომელთა უმრავლესობა გამოუცემელია. ანა ჭკუასელი მუშაობს XVII-XIX საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე ევროპელი მისიონერების მიერ შექმნილ აქამდე უცნობ ორენოვან და სამენოვან ლექსიკონებზე, ქართული ენის მოკლე გრამატიკებსა და კათოლიკურ ლიტურჯიაში გამოსაყენებელ ქართულენოვან ტექსტებზე: ქადაგებებზე, წმინდა წერილის განმარტებებზე, სამედიცინო ხასიათის ლიტერატურაზე და სხვა, რომელთა დიდი ნაწილი გამოუცემელია და მეცნიერული კვლევის ფოკუსში ჯერ არ მოხვედრილა. ნაშრომში განხილული წყაროების გაანალიზება მოხდება არამხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტუროლოგიური თვალსაზრისით. იტალიელმა მისიონერებმა თავიანთი მოღვაწეობით საქართველოში გრამატიკული მეცნიერების ფორმირებას მისცეს ბიძგი და მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ქართული ენის სტანდარტიზაციის პროცესს.

მცოდნეობით სტანდარტს საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზის შესაქმნელად, თარგმნის განსაკუთრებით მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც დღემდე ნაკლებად, ან საერთოდ არ არის სამეცნიერო მიმოქცევაში. ამჟამად ვაქვეყნებთ მათ და მენიას მიერ მომზადებულ აღწერილობას, რომელიც მან პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის პირველი ტომის მიხედვით მოამზადა. იგი შეიცავს 1626-1707 წლების 194 დოკუმენტს (1r-510v), მათ შორის, საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურისა და რელიგიის შესახებ მნიშვნელოვან რელაციონებს, წერილებს, ნუსხებს და საინფორმაციო ბარათებს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პიეტრო დელა ვალეს, არქანჯელო ლამბერტის, კარლო და პემას, ჯუზეპე მარია ძამპის, ბერნარდო მარია და ნაპოლის, გაეტანო რასპონის (Pietro della Valle, Archangelo Lamberti, Carlo da Pescia, Giuseppe Maria Zampi, Bernardo Maria da Napoli, Gaetano Rasponi) რელაციონები და წერილები. მათი უმრავლესობა გამოუცემელია. უზრუნველყოფით „კადმოსი“ გეგმავს სადოქტორო კვლევითი პროექტების ფარგლებში შესწავლილი ორენოვანი ლექსიკონებისა და იტალიურიდან ნათარგმნი დოკუმენტების გამოქვეყნებას.

ნინო დობორჯგინიძე,  
*საუნივერსიტეტო პროექტის ხელმძღვანელი*  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**რომის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის პირველი ტომი**  
**(Roma, Archivio Storico de Propaganda Fide, Scritture Riferite**  
**nei Congressi, (SC) Georgia, vol. 1 (1626-1707))**

**აღწერილობა**

1r-2v – პირველი დოკუმენტი წარმოადგენს წერილს, რომელიც არ არის დათარიღებული და არც დაწერის ადგილია მითითებული. ის დაწერილი უნდა იყოს 1626 წლის შემდეგ. გაგზავნის ადგილად მითითებულია კონსტანტინოპოლი (Constantinopoli). მისი ავტორები არიან ფრანჩესკო მარია და პიაჯა (Fra Francesco Maria da Piazza) და ჯუზეპე და მაცანო (Fra Giuseppe Mazzano). წერილში ავტორები იტყობინებიან, რომ ლივორნოდან (Livorno) სმირნაში (Smirne) გასამგზავრებლად 20 სკუდი გადაიხადეს და თან წაღებული სხვა ნივთების მიცემაც მოუწიათ თურქული გემის კაპიტანისთვის.

3r, 6v – წერილი პროპაგანდა ფიდეს კარდინალების მისამართით გაგზავნილი ფრატე ანდრეა და ნარნის (Fra Andrea da Narni) მიერ. მასში აკინძვის დროს ჩაკერებულია იმავე ავტორის მეორე წერილიც, რომელშიც 1677 წლის 6 ნოემბერია ნახსენები. წერილი უთარილოა, თუმცა სავარაუდოა, რომ დაწერილი იყოს 1626 წლის შემდეგ. არ არის მითითებული დაწერის ადგილიც. ანგარიშში საუბარია კაპუცინელი მისიონერების ანდრია და ნარნისა და რუფინო და სუპინოს (Fra Rufino da Supino) ქალაქ კაფაში (Caffà) 22 დღით დაყოვნების შესახებ. წერილის ბოლოს აღნიშნავენ, რომ იმყოფებიან კუნძულ კორფუზე (Corfù) და ელოდებიან პროპაგანდა ფიდესგან ბრძანებებს.

4r-5v – უთარილო წერილია პროპაგანდა ფიდეს კარდინალები-სადმი მიწერილი, თუმცა ტექსტში ნახსენებია 1677 წლის 6 ნოემბერი. არ არის მითითებული დაწერის ადგილიც. მასში ფრატე ანდრეა და ნარნი (Fra Andrea da Narni) იტყობინება, რომ იძულებულნი იყვნენ, რუფინო და სუპინოსა (Fra Rufino da Supino) და ჯოვანი და კრემონას-

თან (Fra Giovanni da Cremona) ერთად 5 თვე დარჩენილიყვნენ კუნძულ კორფუზე (Corfù). სამეგრელოდან (Mengrelia) ისინი გაბრუნდნენ იტალიაში (Italia). რუფინო და სუპინო დარჩა კორფუზე, ჯოვანი და კრემონა ჩავიდა რომში (Roma) პროპაგანდა ფიდეს კარდინალებისთვის ანგარიშის ჩასაბარებლად და მათგან ახალი ბრძანებების მისაღებად.

7r, 18v – [აკინძვის დროს ამ წერილში მოათავსეს 5 წერილი, რომელთაგან ოთხი ეკუთვნის კაპუცინელთა გენერალურ პროკურატორს და ერთი ფრატე რუფინო და სუპინოს (Fra Rufino da Supino), ფრატე ჯოვანი და კრემონასა (Fra Giovanni da Cremona) და მათ ერთ თანამგზავრ საერო პირს]. წერილის ავტორია ფრატე ფილიპო და პონტადერა (Fra Filippo da Pontadera). წერილი უთარილოა და არც დაწერის ადგილია მითითებული. ავტორი პროპაგანდა ფიდეს კარდინალებისგან ითხოვს გასამგზავრებელ თანხებს.

8r, 17v [აკინძვისას ამ წერილში მოთავსებულია 4 წერილი. 3 მათგანი არის კაპუცინელთა გენერალური პროკურატორის მიერ დაწერილი, ერთის ავტორები კი არიან ფრატე რუფინო და სუპინო (Fra Rufino da Supino), ფრატე ჯოვანი და კრემონა (Fra Giovanni da Cremona) და მათი ერთი თანამგზავრი საერო პირი]. წერილის თარიღი და დაწერის ზუსტი ადგილი უცნობია. წერილი მიემართება პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს. ავტორი მათგან ითხოვს პადრე აგოსტინო და ვერონას (P. Agostino da Verona) ნაცვლად საქართველოს (Giorgia) მისიისთვის პადრე ჯოაკინო და ლუკას (P. Gioachino da Lucca) შერჩევას.

9r, 16v – [აკინძვის დროს ამ წერილში მოათავსეს 3 წერილი, რომელთაგან 2 ეკუთვნის კაპუცინელთა გენერალურ პროკურატორს და ერთი ფრატე რუფინო და სუპინოს (Fra Rufino da Supino), ფრატე ჯოვანი და კრემონასა (Fra Giovanni da Cremona) და მათ ერთ თანამგზავრ საერო პირს]. წერილი უთარილოა და არ არის ზუსტად მითითებული გაგზავნის ადგილი. ავტორია კაპუცინელთა გენერალური პროკურატორი, რომელიც პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს საქართველოს (Giorgia) მისიისთვის შერჩეული პადრეების ფრანჩესკო ანტონიო და ჯინაცანოსა (P. Francesco Antonio Ginazzano) და პიეტრო და რავენას (P. Pietro da Ravenna) ნაცვლად სთავაზობს პადრეების – ბონავენტურა და ლუკასა (P. Bonaventura da Lucca) და მიქელანჯელო და პემას (P. Michelangelo da Pescia) კანდიდატურებს, რომლებიც დამტკიცების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეძლებენ გამგზავრებასო.

10r, 15v – [აკინძვისას ამ წერილში მოთავსებულია 2 წერილი. ერთი მათგანი არის კაპუცინელთა გენერალური პროკურატორის მიერ დაწერილი, მეორის ავტორები კი არიან ფრატე რუფინო და სუპინო (Fra Rufino da Supino), ფრატე ჯოვანი და კრემონა (Fra Giovanni da

Cremona) და მათი ერთი თანამგზავრი საერო პირი]. წერილი უთარი-  
ლოა და არც დაწერის ადგილია მინიშნებული. მისი ავტორია კაპუცინ-  
ნელთა გენერალური პროკურატორი, რომელიც პროპაგანდა ფიდეს  
კარდინალებს სთხოვს, მოამზადონ დეკრეტი პადრე ჯოაკინო და ლუ-  
კასთვის (P. Gioachino da Lucca), ვინაიდან ხელსაყრელი შესაძლებლო-  
ბა არსებობს საქართველოში (Giorgia) გასამგზავრებლად.

11r, 14v – [აკინძვისას ამ წერილში ჩააკერეს მეორე წერილი,  
რომლის ავტორებიც არიან ფრატე რუფინო და სუპინო (Fra Rufino da  
Supino), ფრატე ჯოვანი და კრემონა (Fra Giovanni da Cremona) და მათი  
ერთი თანამგზავრი საერო პირი]. წერილი არ არის დათარიღებული  
და არც დაწერის ადგილია მითითებული. მისი ავტორია კაპუცინელ-  
თა გენერალური პროკურატორი. ის ატყობინებს პროპაგანდა ფიდეს  
კარდინალებს, რომ ლივორნოში (Livorno) მძიმედ დაავადდა საქარ-  
თველოში (Giorgia) მიმავალი მისიონერი პადრე მიქელანჯელო და პეშა  
(P. Michelangelo da Pescia). ითხოვს მის ნაცვლად სხვა პირის არჩევას  
და ახსენებს მათ პადრე დიონიჯი და პიაჩენცას (P. Dionigi da Piacenza),  
რომელიც უკვე მოღვაწეობდა კონგოში (Congo) და საკმაო გამოცდი-  
ლება გააჩნდა.

12r-13v – წერილის ავტორები არიან ფრატე რუფინო და სუპი-  
ნო (Fra Rufino da Supino), ფრატე ჯოვანი და კრემონა (Fra Giovanni da  
Cremona) და მათი ერთი თანამგზავრი საერო პირი. შექმნის ადგილი  
და ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ტექსტში ნახსენებია 1665 წლის 23  
ნოემბერი და 1673 წელი. ავტორები პროპაგანდა ფიდესგან ითხოვენ  
საჭირო საგზაღს, ნებართვას, აღასრულონ ღვთისმსახურება ზღვა-  
ზეც, ასევე ქირურგიისა და მედიცინის პრაქტიკაში განხორციელებას;  
ითხოვენ სამი მისიონერის გამოგზავნას, რომლებიც დახელოვნებულ-  
ნი იქნებიან მედიცინასა და ქირურგიაში და მათ შესანახად ფულის  
გამოყოფას სამი წლის ვადით.

19r-22v – ფრატე ალესიო და მილანოს (Fra Alessio da Milano) წერი-  
ლია პროპაგანდა ფიდესადმი. შექმნის ადგილი და თარიღი არ არის  
მითითებული, თუმცა ტექსტში ნახსენებია რამდენიმე მოვლენა, კერ-  
ძოდ, ალესიო და მილანოს მისიონერული მოღვაწეობის დასასრული  
1687 წელს, 1715 წლის აგვისტო, როცა ახალმა პრეფექტმა პადრე ამა-  
დიო და ბრემას (P. Amadio da Brescia) ხელით მიიღო წერილი ახალცი-  
ხეში (Akalziche) მისიის დაფუძნების თაობაზე და 1716 წლის აღდგომის  
დღესასწაული (პასექი). რელაციონეში საუბარია ქვეყანაში არსებულ  
სიტუაციაზე და მისიის გახსნის შეუძლებლობაზე ძლიერი ფირმანების  
მოპოვების გარეშე.

23r-24v – უცნობი ავტორის რელაციონე, თარიღის გარეშე. არ არის მითითებული დაწერის ადგილიც. ტექსტში მოხსენებულია რამდენიმე მოვლენა: საუბარია 1688 წლის 14 მაისს შამახიის (Siamachia) მისიის დაარსებაზე სპარსეთის (Persia) მეფის ხელშეწყობით; ნახსენებია განჯის (Gangia) მისიის დაარსება კაპუცინელების მიერ 1692 წელს და 1697 წელს იეზუიტი პადრე რაპოლსკის (P. Rapolschi) მიერ გაგზავნილი რელაციონე. აღნიშნულია აგრეთვე, რომ 1710 წელს ახალციხეში (Achalzica) 300 სომხური ოჯახი იყო 8 ან 10 ღვთისმსახურით. ასევე საუბარია თბილისის (Tiflis), ერზურუმის (Erzerum) და ჩერქეზეთის (Circasia) მისიების სავალალო მდგომარეობაზე.

25r-28v – ეპისკოპოს მარტიროსის (Mardiros) წერილია პაპისადმი ლათინურ ენაზე. თარიღი და დაწერის ადგილი არ არის მითითებული. წერილში ეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ სარწმუნოებაზე ფიქრით შამახიაში (Samachi) და შირვანის (Scirvan) პროვინციაში ვერ მოიძია საჭირო პირები. ამიტომ ითხოვს, გამოგზავნონ მასთან მქადაგებლები, რომელნიც სომეხთა უმეცრებას განკურნავენ. ამის შესახებ მას საქართველოში (Giorgia) კაპუცინელთა პრეფექტისთვის კარლო და პეშასთვისაც (P. Carolum de Pesc) შეუტყობინებია.

29r, 32v – კაპუცინელთა გენერალური პროკურატორის წერილია, რომელშიც აკინძვის დროს ჩაკერებულია ფრატე ანტონიო და კანეს (Fra Antonio da Cane) წერილი. თარიღი და შექმნის ადგილი არ არის მითითებული. მასში გენერალური პროკურატორი სთხოვს პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის კარდინალებს, ჩაანაცვლონ ავადმყოფი პადრები – ბონავენტურა და ლუკა (P. Bonaventura da Lucca) და ჯოაკინო და ლუკა (P. Gioachino da Lucca) ორი სხვა მისიონერთ: კარლო და პეშა (P. Carlo da Pescia) და ფილიპო და პონტადერათი (P. Filippo da Pontadera).

30r-31v – ფრატე ანტონიო და კანეს (Fra Antonio da Cane) უთარილო წერილია, რომელსაც არ აქვს არც დაწერის ადგილი მითითებული. ის წერს, რომ არის მქადაგებელი და თეოლოგიის ლექტორი პალიანოს (Paliano) მონასტერში, ამიტომ სურს, ემსახუროს უფალს საქართველოს (Giorgia) მისიაში და ითხოვს, რჩეულთა სიაში ჩარიცხონ. კაპუცინელთა გენერალური პროკურატორი ადასტურებს თხოვნას და თვლის, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ მას გააგზავნიან მისიაში.

33r-34v – ჯუზეპე ანტონიო რომანოს (Fra Giuseppe Antonio Romano) წერილია პროპაგანდა ფიდეს კარდინალებისადმი. არც თარიღი და არც დაწერის ადგილია მითითებული. მასში ავტორი საუბრობს პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის გადაწყვეტილებაზე, გადაეცათ საქართველოს (Giorgia) მისია ნეაპოლის (Napoli) პროვინ-

ციისათვის. შემდეგ ავტორი წერს არსებულ სიტუაციაზე და იძლევა რჩევებს, რომელი გზით ჯობს მგზავრობა: კორფუს (Corfù), ბელგრადისა (Belgrado), თუ კონსტანტინოპოლის (Costantinopoli) გავლით.

35r-36v – ჯუზეპე ანტონიო რომანოს (Fra Giuseppe Antonio Romano) ანგარიშია პროპაგანდა ფიდეს კარდინალებისადმი, რომელშიც ასახულია გურიისა (Goria) და სამეგრელოს (Mingrelia) მისიების მდგომარეობა. რელაციონე არ არის დათარიღებული და არც დაწერის ადგილია მითითებული. ავტორი წერს აღმოსავლეთში 14 წლის მისიონერად მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ სპარსელებისგან, თურქებისგან, ჯიქებისგან, ალანებისგან და აფხაზებისგან ხშირად აოხრდა ქვეყანა, დაინგრა თეატინელთა ეკლესიები და სახლები.

37r-40v – ჯუზეპე ანტონიო რომანოს (Fra Giuseppe Antonio Romano) წერილია თარიღის გარეშე. არ არის მითითებული დაწერის ადგილიც. ავტორი პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის კარდინალებს ატყობინებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ შავი ზღვისა (Mar Nero) და საქართველოს (Giorgia) მისიებმა დიდი ზიანი განიცადეს. იგი წერს საქართველოში მოსახვედრი კონსტანტინოპოლის (Costantinopoli), სმირნისა (Smirne) და ალექსის (Aleppo) გზების შესახებ და კონსტანტინოპოლის გზას აფასებს ყველაზე უსაფრთხოდ.

41r-42v – ახალციხის (Akalziche) მოსახლეობის წერილი პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის კარდინალების მიმართ. თარიღი და შედგენის ადგილი მითითებული არ არის. ისინი ითხოვენ პადრე იგნაციოს (P. Ignazio) დაბრუნებას.

43r-44v – ფრატე მიკელე რადნიეკი და ბასკას (Fra Michele Radniech da Baska) წერილი პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის კარდინალებისადმი. თარიღი და დაწერის ადგილი მითითებული არ არის. ავტორი სთხოვს პროპაგანდა ფიდეს, რომ განიხილონ მისი კანდიდატურა მარტიანოპოლის (Martianopoli) ეპისკოპოსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

45r-46v – წერილის ავტორები არიან ფრატე რუფინო და სუპინო (Fra Ruffino da Supino), ფრატე ჯოვანი და კრემონა (Fra Giovanni da Cremona) და მათი ერთი თანამგზავრი საერო პირი. თარიღი და დაწერის ზუსტი ადგილი უცნობია. ავტორები, რომლებიც უკვე განაწესეს გურიის (Guria) მისიაში გასამგზავრებლად პროპაგანდა ფიდესგან ითხოვენ მესის ჩასატარებლად საჭირო ნივთებს.

47r-48v – უცნობი ავტორის რელაციონე. არ არის დათარიღებული და არც შექმნის ადგილია მითითებული. ანგარიშში საუბარია ახალ-



ცხის (Akalzike) სამღვდლოების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, განსაკუთრებით დონ ჯოვანის (Don Gio.) შეცოდებებზე.

49r-50v – რელაციონე ავტორის, თარიღის და შედგენის ადგილის მითითების გარეშე. ჩამოთვლილია 24 ქმედების ჩამდენი ადამიანი, თუმცა გაურკვეველია რა მიზნით. სავარაუდოა, რომ ამ ქმედებების ჩადენას ეკლესია უკრძალავდა მრევლს. ასეთებია: წერილებისა და თილისმების მიღება თურქი მოღვთისმცოდნეებისგან და მათი შენახვა სახლში, ებრაელების მიერ გაკეთებული თილისმის შენახვა განკურნების იმედით, ცნობილ ქართველ მღვდელთან სიარული სოფელ ვალეში (Valles), მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეა და ერეტიკოსი, მისგან წამლებისა და ლოცვების მიღება და ა. შ.

51r-52v – ნაწერში ჩამოთვლილია რამდენიმე პიროვნება, არ არის მითითებული არც თარიღი და არც დაწერის ადგილი. ტექსტში ნახსენებია 1734 წელი. ავტორია ფრანკო ფიგარი (Franco Figari). რამდენიმე მისიონერის – ფრანკო ფიგარის, ჯუზეპე ანტონიო მარია ტონინის (Giuseppe Antonio Maria Tognini), ფრატე ტომასო სინოპის (Tomaso Sinoppi) და ბარტოლომეო ბონტას (Bartolomeo Bontà) შესახებ ინფორმაციებს ვიგებთ, ჯანბატისტა ტროლიას (Gianbatista Trogli) შესახებ არაფერი ვიცით, წერს ავტორი.

53r-59v – ძალზედ საინტერესო რელაციონეა ადრესატისა და ადრესანტის მითითების გარეშე. უცნობია დაწერის თარიღიც, თუმცა ტექსტში მრავალი მოვლენაა ნახსენები წლების მითითებით, რომელთაგან უკანასკნელი მოხდა 1756 წელს. საქართველოში (Giorgia) კათოლიკური მისიების დაარსებასა და საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვან ფაქტებს გვაწვდის ეს რელაციონე. მათ შორის: 1626 წლის 4 მაისს პროპაგანდა ფიდეის წმინდა კონგრეგაციამ 5 თეატინელი მისიონერით დააარსა საქართველოს მისია. 1634 წელს სამეგრელოს (Mengrelia) მთავარმა დადიანმა (Dadiani) მიიწვია ისინი. 1661 წლის 5 აპრილს გადაწყდა, გადაეცათ საქართველოს მისია კაპუცინელებისთვის. 1714 წლის ბრძანებით მისიონერთა რიცხვი გაზარდეს 20-მდე. 1756 წელს მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ რაჭის (Raggia) ბერძენმა (მართლმადიდებელმა) უფლისწულმა დევნა დაუწყო და გაყარა კათოლიკეები. ამის მიზეზი იყო ის, რომ რაჭის არქიეპისკოპოსმა კათოლიკობა აღიარა.

60r-114v – პიეტრო დელა ვალეს (Pietro della Valle) ინფორმაცია საქართველოს შესახებ, რომელიც ავტორმა 1627 წელს გაუგზავნა პაპ ურბან VIII-ს (Urbano VIII). ავტორი იწყებს საქართველოს (Georgia) გეოგრაფიის აღწერით, ახსენებს შავ (Mar Eussina) და კასპიის ზღვებს (Mar Caspio), სომხეთის (Armenia) და კაპადოკიის (Cappadocia) ნაწი-

ლებს, საუბრობს ენებზე და ამბობს, რომ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებნი ლაპარაკობენ ქართულად. პიეტრო დელა ვალე საუბრობს კახეთის უფლისწულ თეიმურაზზე (Teimuraz) და სხვა სამეფო-სამთავროების მმართველებზე. ავტორის აზრით, საოცარია, როგორ გადარჩა საქართველო ორ უძლიერეს იმპერიას შორის. შემდეგ ტექსტში აღნიშნულია უთანხმოებები, რომლის ჩამოგდებასაც ცდილობდნენ თურქები და სპარსელები მმართველ უფლისწულებს შორის. საუბარია სპარსელების შემოსევებზე და სპარსეთში გადასახლებულ ქართველებზე, ქეთევან დედოფლის (Principessa Ketevan) წამებაზე შირაზში (Sciraz), საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე, რწმენის საკითხებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველებს აქვთ რომის (Roma), წმინდა პეტრესა და პავლეს (San Pietro e San Paolo) დიდი ერთგულება. თაყვანს სცემენ რომის პაპს. შემდეგ აღწერს სამ გზას, რომლითაც შეიძლება მოხვდნენ საქართველოში მისიონერები: კონსტანტინოპოლის (Costantinopoli) გავლით ერთ თვეში, სპარსეთის (Persia) გავლით ან პოლონეთის (Polonia) გავლით რამდენიმე დღეში შავი ზღვით (Mar Negro).

115v – წარმოადგენს სიას დოკუმენტებისას, რომლებიც ინახება კაპუცინელი პადრე როკო და ჩეფინალეს (P. Rocco da Cefinale) არქივში. ავტორი, დაწერის ადგილი და თარიღი უცნობია, თუმცა ტექსტში მრავლადაა ნახსენები მნიშვნელოვანი მოვლენები წლების მითითებით, რის მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 1844 წელია ის თარიღი რომლის შემდეგაც უნდა დაწერილიყო იგი. მოვიყვანთ რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს ამ სიიდან: 1630 წელს დაწერილი თეატინელთა რელაციონე, რომლის სავარაუდო ავტორია პადრე ავიტაბილე (P. Avitabile); 1632 წლის 8 ნოემბრის დეკრეტი, რომლის მიხედვით, საქართველო (Giorgia) ისპაჰანის (Ispahan) საეპისკოპოსოს საზღვრებში მოიაზრება; მოკლე წერილი რუსეთის (Russia) სომხებს 1809 წლის, რომელიც განახლდა 1844 წელს და ა. შ.

116r-126v – ეს არის ავგუსტინელი ფრატე ამბროჯო დელ'ანჯელის (Frate Ambrogio degl'Angeli) 1640 წელს შედგენილი რელაციონე სპარსეთის შაჰის (Re di Persia) ბრძანებით ქეთევან დედოფლის (Regina Ketevan) მოწამებრივი სიკვდილის შესახებ. რელაციონეს დასაწყისში საუბარია თვით ფრატე ამბროჯოს შესახებ, რომელიც ეკუთვნოდა ავგუსტინელთა ორდენს და იყო ამ ორდენის გენერალური პროკურატორი აღმოსავლეთ ინდოეთის (India Orientale) კონგრეგაციაში და საქართველოს (Giorgia) მისიის პრეზიდენტი. ის 22 წელი მოღვაწეობდა სპარსეთის (Persia) მისიაში, 9 წელი ისპაჰანში (Spahan), 2 წელი შირაზში (Sciraz), 12 წელი საქართველოში. შემდეგ აღწერს შაჰ აბასის

გალაშქრებას საქართველოში, 60000 ქართული ოჯახი გადასახლებას სპარსეთში. ავტორი დაწვრილებით აღწერს ქეთევან დედოფლის წამებას, დასაფლავებას და წმინდა ნაწილების საქართველოში ჩამოტანას, მეფე თეიმურაზის (Teimuraz) მადლიერებას და გორში აშენებულ პირველ სახლს მისიონერებისთვის. რელაციონეს ბოლოს ფრატე ამბროჯო საყვედურობს პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციას, რომ სხვა ორდენების მსგავსად არ ეპყრობა ავგუსტინიანელებს და ითხოვს კარდინალებისგან სხვა მისიონერების მსგავსად იზრუნონ მათზე მატერიალურად ისევე, როგორც სხვებზე ზრუნავენ. მისიის საჭიროებები კი ჩამოთვლილია ფრატე პიეტრო დეი სანტის (Fra Pietro dei Santi) წერილებში.

127r-128v – არქანჯელო ლამბერტის (Archangelo Lamberti) რელაციონეა, რომელსაც თარიღად მითითებული აქვს 1647 წლის 21 აგვისტო. შექმნის ადგილი უცნობია. რელაციონეში ნათქვამია, რომ ორი წლის განმავლობაში ვერ შეძლო მიწერა. ოდიშის (Odisci) სამეფოში იმ ნაყოფის მიღება, რომელიც პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციას სურდა, ვერ მოხერხდა, მაგრამ მახლობელი ხალხების იმედი მაინც არისო. ასეთები არიან სვანები, ჩერქეზები, ალბანელები, თურქები, ყალმუხები, რომლებიც ჰგვანან მათ, მაგრამ სხვა ენებზე საუბრობენო. ცოტა ხანია, რაც გვაქვს რეზიდენცია ქუთაისში (Cotatis), მაგრამ ამ უფლისწულის იმერეთის უფლისწულთან ომებისა და სასულიერო პირების სიმცირის გამო იგი საფრთხეშიაო.

129r-130v – თბილისიდან (Tiflis) გაგზავნილი წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი. ავტორები არიან პადრე კარლო და პეშა (P. Carlo da Pescia), პადრე დიონისიო და პიაჩენცა (P. Dionisio da Piacenza) და პადრე ბონავენტურა და ლუკა (P. Bonaventura da Lucca). კაპუცინელი პადრების წერილი დაწერილია 1650 წლის 30 სექტემბერს. მასში საუბარია, რომ პრეფექტ პადრე ჯუზეპეს (P. Giuseppe), რომელიც არის კორსიკის პროვინციიდან, მმართველობით კმაყოფილები ვართო. სხვა პრეფექტი არ გვინდა და ვითხოვთ მის დამტკიცებას მომავალი შვიდი წლის ვადით. არ გვსურს პადრე ჯუსტინო და ლივორნო (P. Giustino da Livorno) გახდეს ჩვენი მეთაური. მისი მიზეზით ამ მისიამ ბევრი კარგი პიროვნება დაკარგა, როგორებიც იყვნენ პადრე ბერნარდო მარია და ნაპოლი (P. Bernardo Maria da Napoli), პადრე რაფაელო და პარმა (P. Raffaello da Parma), ფრატე ანჯელო და ვიტერბო (Fra Angelo da Viterbo). თუ მას დაგვინიშნავთ მეთაურად, მაშინვე დავტოვებთ მისიას და დავბრუნდებით ჩვენს პროვინციებშიო.

131r-132v – ფრატე კარლო და პეშა (Fra Carlo da Pescia) სწერს წერილს კარდინალ ჩესის (Cessi) თბილისიდან (Tiflis) 1650 წლის 30 ოქ-

ტომბერს. ავტორი იწერება, რომ თბილისის მისიაში გაგზავნილი თანხები უნაყოფოდ არ იხარჯება, რადგან სულელებს ღმერთისაკენ აქცევენ ის მისიონერები, რომლებიც საკმაო რაოდენობით იმყოფებიან. პადრე ჯუზეპე და ბოგონიანო (P. Giuseppe da Borgognano) კარგი პრეფექტია, მაგრამ პადრე ჯუსტინო და ლივორნო (P. Giustino da Livorno) არ მოსწონთ წინამძღვრად, რადგან იგი საერო პირებზე უფრო ზრუნავს, ვიდრე სასულიეროებზე. მისიონერები ამბობენ, რომ მისი დანიშვნის შემთხვევაში დატოვებენ მისიას.

133r-134v – კარლო და პეშას (Fra Carlo da Pescia) წერილი პროპაგანდა ფიდეს მდივნისადმი, რომელიც მან გააგზავნა თბილისიდან (Tiflis) 1652 წლის 22 ივნისს. ამ მისიის ნეაპოლის (Napoli) პროვინციისთვის მიკუთვნება გაუკვირდა ყველასო. მართალია, მორჩილება გვმართებს, მაგრამ ამ მისიის გადაცემა ნეაპოლისთვის ორი მიზეზის გამო არ შეიძლებაო: პირველი, იმიტომ, რომ იქაური პადრები უარს ამბობენ ენის შესწავლაზე და მეორე, ესპანეთსა (Spagna) და საფრანგეთს (Francia) შორის ომის პერიოდში ვერ შეძლებენ მისიაზე ზრუნვასო. ყველაზე მეტად იმსახურებს ფლორენციის (Fiorenza) პროვინცია მისიის გადაცემასო. ავტორი იმედოვნებს, რომ პროპაგანდა ფიდეს მდივნის დახმარებით ამ მისიის გადაცემა ნეაპოლის პროვინციისთვის არ მოხდება.

135r-136v – ფრატე კარლო და პეშას (Fra Carlo da Pescia) წერილია თბილისიდან (Tiflis). გაგზავნილია 1653 წლის 10 სექტემბერს, თუმცა ადრესატი უცნობია. ავტორი იწერება, პადრე პრეფექტის ბრძანებით შამახიაში (Sciamachia) გადავედიო, რათა მომექცია ქალაქის სომხური მოსახლეობა კათოლიკობაზე. ერთ წელიწადში ყველას მოქცევა შეიძლება კათოლიკობაზეო. ამ ტვირთს მე ვიკისრებდი, რადგან ვისწავლე როგორც ქართული, ისე სომხური ენაო. ფრატე კარლო და პეშა ითხოვს რაიმე სასაჩუქრე მედლებს იქაური კათოლიკეებისთვის და ასევე ითხოვს სწავლულებს, რომლებიც იქაურებს ქრისტიანულ დოქტრინას შეასწავლიან.

137r-138v – ეს დოკუმენტი წარმოადგენს ნუსხას, რომლის არც ადრესატი და არც ადრესანტი ცნობილი არ არის. არ ვიცით არც დაწერის ადგილი და არც თარიღი, თუმცა ტექსტში მოცემულია რამდენიმე თარიღი, რომელთაგან 1670 წელია ბოლო, რომლის შემდეგაც შეიქმნებოდა ეს ნუსხა. მასში ჩამოთვლილია რომელ წელს რამდენი თანხა (viatico) გაიგზავნა საქართველოში (Giorgia) მისიონერებისთვის 1661 წლიდან 1670 წლამდე.

139r-140v – ალბანეთიდან (Albano) გაგზავნილი წერილია 1661 წლის 7 მაისს, ადრესატი და ადრესანტი უცნობია. წერილიდან ვი-

გებთ, რომ მისიონერები კალაბრიიდან (Calabrie) მზად არიან საქართველოში (Giorgia) გასამგზავრებლად.

141r-v – ალბერიკუს სეკუნდუსის (Albercius Sec.us) მიერ 1664 წლის 18 მარტს შედგენილი აუდიენციის ჩანაწერია ლათინურ ენაზე. დაწერის ზუსტი ადგილი უცნობია. მასში წერია, რომ ესპანელ მისიონერებს უნდა ჰკითხონ, საკმარისი რაოდენობით არიან თუ არა მისიონერები და თუ არა, მათივე რიგებიდან მიუმატონ. რელაციონეში აღნიშნონ, თუ როგორ იღებენ ხალხები სახარების ქადაგებას და პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციიდან რა სახის დახმარება ესაჭიროებათ დომინიკანელ ბერებს. მანამდე საფიქრებელია არქიეპისკოპოსზე და თითოეული მისიონერი უნდა იქნას შექებული.

142r-144v – 1664 წლის 18 მარტს დაწერილი რელაციონეა ადრესატის, ადრესანტის და შედგენის ადგილის მითითების გარეშე ლათინურ ენაზე. მასში ავტორი აღნიშნავს, რომ მისწერეს მდივანს იმ ქალაქში 24 ივლისს ჩასვლის შესახებ; გზა სრულიად უსაფრთხოა, თუმცა პორტუგალიელების (Lusitanis) ემინიათო. ისპაჰანში (Hispania) სასულიერო პირების მდგომარეობის შესახებ კი ვერაფერს მოგწერთო.

145r-156v – უცნობი ავტორის მიერ დაწერილი რელაციონეა. ადრესატი, დაწერის ადგილი და ზუსტი თარიღი უცნობია. შესაძლოა დაწერილი იყოს 1668 წელს. მასში საუბარია სამეგრელოსა (Mingrelia) და მის ახლოს მდებარე ქვეყნების გაქრისტიანებაზე იმპერატორ კონსტანტინეს (Constantino) დროს, რომელმაც მღვდლები გააგზავნა ამ ქვეყნებში. მათ ქრისტიანობა მიღებული ჰქონდათ მონა ქალის, წმინდა ნინოსგან (Santa Nino), მათი მარხვა შვიდი კვირა გრძელდებოდა. თაყვანს სცემენ წმინდა იოანე ნათლისმცემელს (S. Giovanni Battista), წმინდა ლორენცოს (S. Lorenzo), წმინდა ნიკოლოზს (S. Nicolo), წმინდა ბასილს (S. Basilio), მაგრამ უმთავრესად წმინდა გიორგის (S. Giorgio), რომლის სახელობის ეკლესიაც აქვთ აგებული. უფლისწულმა ლევან დადიანმა (Levan Dadian) კათოლიკეებს მისცა შვიდი სახლი მოსამსახურედ და ტყვეების ურწმუნოებზე გაყიდვა სასტიკად აკრძალაო. ჩერქეზები, რომელთა შორის ყვაოდა ქრისტიანობა, ახლა მაჰმადიანები არიან, რადგან ქრისტიანობის სამარცხვინოდ, თურქი მისიონერები მივიდნენ მათთანო. სხვა ხალხებმა – აფხაზებმა, ჯიქებმა და სვანებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა, რადგან მათზე არ უმოქმედიათ არც ბერძნებს და არც თურქებსო.

157r-158v – ჯუზეპე მარია ჯამპის (Giuseppe Maria Zampi) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი, რომელიც მან დაწერა 1669 წლის 20 იანვარს და გააგზავნა კონსტანტინოპოლიდან (Constantinopoli), გალათადან (Galata), რათა ეცნობებინა მშვიდობით

ჩასვლა ამ ქალაქში. ლივორნოდან (Livorno) გამომგზავრებულია 10 დეკემბერს და 5 იანვარს ჩასულა სმირნაში (Smirne). ინგლისური გემით 19 იანვარს დიდი გასაჭირისა და საფრთხის შემდეგ ჩასულა კონსტანტინოპოლში, საიდანაც გეგმავდა აღდგომის შემდეგ გზის გაგრძელებას შავი ზღვით (Mar Nero).

159r-160v – ჯუზეპე მარია ძამპის (Giuseppe Maria Zampi) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი, რომელიც მან დაწერა 1669 წლის 12 თებერვალს და გააგზავნა კონსტანტინოპოლიდან (Constantinopoli), გალათადან (Galata), რომელშიც ატყობინებს, რომ გაზაფხულამდე მოუწევს მოცდა, ვინაიდან ზამთარში შავ ზღვაზე (Mar Nero) ნაოსნობა არ არისო. ამავე დროს სწერს პადრე ანდრეა ნესტეს (P. Andrea Neste) გარდაცვალების შესახებ. ლივორნოდან (Livorno) კონსტანტინოპოლამდე 32 დღე ვიმგზავრეო. 11 ნოემბერს გამოვეგზავრე და 19 იანვარს ჩამოვედიო. ავტორი აღნიშნავს, რომ იქაური ეკლესია საწყალობელ მდგომარეობაშიაო.

161r-162v – ჯუზეპე მარია ძამპის (Giuseppe Maria Zampi) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი, რომელიც მან 1669 წლის 26 აპრილს გაგზავნა კონსტანტინოპოლის (Constantinopoli) პერადან (Pera). მასში ავტორი ითხოვს დადასტურებას, მართლა გააუქმა თუ არა პაპმა ორდენები და მათ შორის, თეატინელების ორდენი. თან იუწყება, რომ 4 თვეა კონსტანტინოპოლში იმყოფება და ეპისკოპოსის ნებართვით ნათლავს მეგრელ ტყვეებს. იმედოვნებს, მაისის ბოლოს შეძლებს განაგრძოს გზა საქართველოსკენ.

163r-v – ფრატე სტეფანო დ'ამელიას (Fra Stefano d'Amelia) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი, რომელიც მან დაწერა 1670 წლის 28 აგვისტოს. შედგენის ადგილი მითითებული არ არის. ავტორი აღნიშნავს, რომ წელიწად-ნახევრის წინ გაგზავნეს რომში (Roma) პადრე ჯუზეპე კორსო (P. Giuseppe Corso) მისიის საქიროებების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად. მეორე მისიონერის გამოგზავნასაც ვაპირებთ, რადგან დიდ გასაჭირში ვართ და 130 სკუდი ვალი გვაქვსო.

164r-165v – ჯოვანი ბატისტა და პარმას (Fra Giovanni Battista da Parma) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი პარმა ფონტევიოდან (Parma Fortevivo). თარიღი უცნობია. ავტორი წერს, რომ უკვე 2 წელია, სურს საქართველოს (Giorgia) მისიაში წასვლა, რის შესახებაც შეატყობინა პადრე პროკურატორეს. რადგან მისი მოლოდინი არ გამართლდა, ცდილობს, კარდინალებისგან მიიღოს ამის უფლება.

166r-167v – ფრატე სერაფინო და მელიკოკას (Fra Serafino da Melicocca) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი მიწერილი 1671 წლის 30 მარტს თბილისიდან (Tiflis). მასში ავტორი წერს, რომ რომიდან (Roma) წამოვიდნენ სომეხი დომინიკანელი პადრები. მოულოდნელად ჩამოვიდა პადრე ჯუზეპე (P. Giuseppe) თანმხლებ პირებთან ერთად და ჩამოიტანა საჭირო თანხაო. პრეფექტად დატოვებისთვის მადლობას იხდის, მაგრამ სურს ეს ტვირთი აარიდონ. რელაციონეში საუბარია სკოლის განახლების შესახებ, სადაც მისიონერები ასწავლიან ქართულს, იტალიურს, ლათინურს და ქრისტიანულ დოქტრინას ყოველ დღე. მედიცინა კარგ ნაყოფს იძლევა და უკეთესი შედეგები გვექნება, თუ წმინდა კონგრეგაცია მეტ დახმარებას გამოგვიგზავნისო.

168r-169v – ფრატე სერაფინო და მელიკოკას (Fra Serafino da Melicocca) წერილი პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი, რომელიც მან თბილისიდან (Tiflis) გაგზავნა 1671 წლის 14 აპრილს. ავტორი წერს, რომ პადრე ჯუზეპე კორსო (P. Giuseppe Corso) ჩამოსვლა თანმხლები პირებით და დახმარებით, ძალიან გვახარებსო. ყველაფერი აქ უფრო ძვირია, ვიდრე იტალიაში (Italia). ერთი კაცის შენახვა 25 რომაული სკუდით შეუძლებელიაო, პადრე ფრანჩესკო მარია და მონტეკატინო (P. Francesco Maria da Montecatino) უკვე მოხუცდა და ავადაც არის, არ შეუსწავლია და არც არასდროს ისწავლის ენას, ის უნდა გაემგზავროს აქედანო. ჩამოტანილი ფულით გადავიხადეთ ვალები. დარჩენილი თანხით ხელმომჭირნედ ვიცხოვრებთო.

170r-171v – ფრატე ანტონიო დი ფირდის (Fra An.no di Fird) წერილი პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი პარიზიდან (Parigi), რომელიც მან 1672 წლის 22 ივლისს დაწერა. მასში ავტორი ახსენებს 30 მაისის წერილს, რომელშიც საქართველოში (Giorgia) მოღვაწე მისიონერების მოთხოვნებზეა საუბარი, რომელთა დაცვა და ხელშეწყობა უნდა მიანდონ მინისტრებს, რომლებსაც ქრისტიანი მეფე გზავნის სპარსეთის მეფესთან (Re di Persia) აღმოსავლეთ ინდოეთში (India Orientale) მიმოსვლის დაწყების შესახებ მოსალაპარაკებლად.

172r-173v – კაპუცინელების გენერალური პროკურატორის ფრატე ბრო.ნო–ს (Fra Bro.no) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის მიმართ. ეს წერილი მას დაუწერია 1673 წლის 2 სექტემბერს კონსტანტინოპოლში (Constantinopoli). წერილში ავტორი აუწყებს კარდინალებს, რომ 7 აგვისტოს წერილის მიხედვით, საქართველოში (Giorgia) მყოფ მისიონერებს უგვიანდებოდათ თანხის გაგზავნა. ის ირწმუნება, რომ ყოველთვის დროულად ხდებოდა თანხების გადაგზავნა

და არ იცის დაგვიანების მიზეზი, რომელსაც აუცილებლად შემთხვევისთანავე გავარკვევს.

174r-177v – ბარონოს (Barono) წერილია პროპაგანდა ფიდეის წმინდა კონგრეგაციის მიმართ, რომელიც მან 1672 წლის 29 მარტს გაგზავნა სურატიდან<sup>3</sup> (Surat). მასში ავტორი წერს, რომ საქართველოს (Giorgia) მისიონერი კაპუცინელი პადრე ჯუზეპე ანტონიო რომაელი (P. Giuseppe Antonio Romano) დიდ განსაცდელშია სქიზმატიკოსებისა და თურქებისგან. ერთი წლის წინ ის ალექსოში (Aleppo) ჩავიდა, რათა იქიდან გამგზავრებულიყო, მაგრამ გადაწყვიტა, სპარსეთში (Persia) დალოდებოდა მის უდიდებულესობა ქრისტიან მეფეს, რომელიც იქ გავლით იქნებოდა. იხსენებს აგრეთვე, რომ 10 წელია ალექსოში ცდილობდა და ახლა მთელ ინდოეთში (India) ცდილობს მისიების დამკვიდრებისთვის ზრუნვას. ბოლოს ითხოვს 30 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ წმინდა ქალაქში დაბრუნების უფლებას, სადაც კვლავ კარდინალების სამსახურში იქნება.

178r-179v – ფრატე სერაფინო და მელიკოკას (Fra Serafino da Melicocca) წერილია პროპაგანდა ფიდეის წმინდა კონგრეგაციისადმი თბილისიდან (Tiflis). თარიღად მითითებული აქვს 1674 წლის 10 ოქტომბერი. წერილში ავტორი ამცნობს კარდინალებს, რომ საშუალება არ ჰქონდა, ეპასუხა მათ 1673 წლის 2 სექტემბერს გამოგზავნილ წერილზე. მას აღარ ახსოვს, ითხოვა თუ არა მედიცინისთვის ლიცენზია. 4 წელია, რაც არაფერი მიგვიღიაო. ავტორი ამცნობს კარდინალებს, რომ ფრატე ანჯელო და ვიტერბო (Fra Angelo da Viterbo) გააგზავნა მისიის საჭიროებების მოსახსენებლად და პატარა რელაციონეც გაატანა თან. იწერება, რომ ბევრი სომეხი მოაქციეს კათოლიკურ სარწმუნოებაზე. სულ 6 მისიონერი ვიმყოფებით თბილისშიო. მეშვიდე პადრე ჯუზეპე ანტონიო რომაელია (P. Giuseppe Antonio Romano), რომელიც იტალიისკენ (Italia) გაემგზავრა, სპარსეთის მეფის (Re di Persia) კარზე და თავრიზიდან (Tauris) იწერება წერილებსო. 7 მისიონერი საკმარისია სამი მისიის შესანახად და 10 არ არის საჭირო, როგორც ახლა გვყავსო. გენერალური პროკურატორისგან მივიღეთ ახალი დეკრეტის ასლი, რომლის მიხედვითაც გასულ წელს, მაისის თვეში, წმინდა კონგრეგაციამ გამოაქვეყნა ამ მისიის კვიპროსის მისიაში გაცვლის შესახებო. ავტორი გამოხატავს საკუთარ უარყოფით აზრს ამასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ იტალიისთვის და წმინდა კონგრეგაციისთვის ეს დამაზიანებელი იქნებაო. ჰუგენოტები და ლუთერანი ფრანგები დიდ ზიანს მიაყენებენ, ვინაიდან პაპის ავტორიტეტის საწინააღმდეგოდ ილაპარაკებენო.

3 სურატი არის ქალაქი და საზღვაო პორტი ინდოეთში გუჯარატის შტატში.



180r-182v – ფრატე სერაფინო და მელიკოკას (Fra Serafino da Melicocca) წერილია თბილისიდან (Tiflis) პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის კარდინალებისადმი, რომელიც მან დაწერა 1674 წლის 19 ოქტომბერს. მასში ავტორი წერს, რომ მიიღო 1673 წლის 17 აგვისტოს წერილი მათგან, რომელშიც ითხოვენ გაუგზავნოს რომში (Roma) ის ყმაწვილი, რომელმაც ცხვირი მოიჭრა, რათა არ გაეგზავნათ სპარსეთის მეფისთვის (Re di Persia). უფლისწულს ვთხოვე მისი თავი, მაგრამ უარი მივიღეო. თან ავუხსენი ყველა ის სიკეთე, რომელსაც მიიღებდა რომში წასვლით, მაგრამ პასუხად ყმაწვილისგან მივიღე შემდეგი სიტყვებით, ცხვირი მოვიჭერი იმის გამო, რომ სპარსეთში (Persia) არ გავეგზავნე და მშობლებსა და საქართველოს (Giorgia) არ მოვმორებოდიო. რომი კი არ მაინტერესებსო. კარდინალებს უთხოვიათ აგრეთვე ბატონების დავითისა (Davit) და ალოიჯის (Aloiggi) შვილები ან ნათესავი გაეგზავნათ კოლეჯო ურბანოში (Coleggio Urbano) სასწავლებლად, მაგრამ ისინი ისპაჰანში (Aspahan) იმყოფებიან, როგორც პადრე ჯუზეპე ანტონიო რომაელი (P. Gioseppe Antonio Romano) მატყობინებსო. 4 წელია, არ მიგვიღია დაფინანსებაო. არ გამოჩენილა აქამდე პადრე ფრანჩესკო მარია დი მონტეკატინო (P. Francesco Maria di Montecatino). 7 სასულიერო პირითა და 220 სკუდი წლიური დაფინანსებით ორი მისიის შენახვა შეუძლებელიაო. გასული წლის მაისის თვეში პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის მიერ გამოცემული დეკრეტის ასლი გამოგვიგზავნეს, რომლის მიხედვითაც, კვიპროსის (Cipro) მისიაში უნდა გაიცვალოს საქართველოს მისიაო. დიდი დანაკარგი იქნება იტალიელი ერისთვისო, ვინაიდან ფრანგი პადრები ჰუგენოტები და კალვინისტები არიან, რითიც ცუდ მაგალითს მისცემენ ხალხს და პაპის ავტორიტეტის წინააღმდეგ იქადაგებენო.

183r-184v – პადრე კარლო და პეშას (P. Carlo da Pescia) წერილია თბილისიდან (Tiflis) პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი მიწერილი 1670 წლის 10 ნოემბერს. მასში ავტორი წერს, რომ პადრე ჯუზეპე ანტონიო რომაელის (P. Gioseppe Antonio Romano) ხელით მიიღო წერილი იტალიიდან (Italia), რომელშიც ატყობინებენ ნათესავის გარდაცვალების შესახებ და უგზავნიან ფულს იტალიაში ჩასასვლელად. კარლო და პეშა კარდინალებისგან ითხოვს ნებართვას იტალიაში გასამგზავრებლად იმ პირობით, რომ შემდეგ დაუყოვნებლივ დაუბრუნდება მისიას. წერილში ავტორი იტყობინება, რომ შეისწავლა ადგილობრივი ენა და ერთი წელიც არ იყო გასული მისი ჩამოსვლიდან, რომ ამ ენაზე იქადაგა კიდევ. საგზაო ხარჯებს ნათესავები მიგზავნიანო. გთხოვთ, კორსიკის (Corsicha) პროვინციიდან ჩამოსული პადრე პრეფექტი ჯუზეპე და ბორგონიანო (P. Gioseppe da Borgognano)

არ გაიწვიოთ, არამედ მეორე შვიდი წელი დატოვოთ მისიაში, რადგან ეს კარგი იქნება მმართველობისთვის და მშვიდობისთვისო. ამას ვერ ვიტყვი პადრე ჯუსტინო და ლივორნოზე (Giustino da Livorno) ტოსკანას (Toscana) პროვინციიდანო, რადგან ბევრმა კარგმა მისიონერმა დატოვა მის გამო მისია, როგორც იყო პადრე ბერნარდო მარია და ნაპოლიო (P. Bernardo Maria da Napoli).

185r-186v – ჯოვანი მარია მონიერის (Gio. Maria Maunier) წერილია ალექოდან (Aleppo) პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი, რომელიც დაწერილია 1674 წლის 24 ნოემბერს. ავტორი სწერს კარდინალებს, რომ მარსელის (Marsiglia) გზით გამოგიგზავნეთ საქართველოდან (Georgia) მიღებული წერილიო, ახლაც ინდოეთიდან (India) ჩამოვიდა დახურული წერილი კარდინალი პრეფექტისთვის, რომელსაც თქვენთან ვაგზავნი და თან ფეხშიშველ კარმელიტან პადრებს გავედრებთო.

187r-188v – ფრატე ანტონიო კრუაზეს (Fra Antonio Croiset) წერილია პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი, რომელიც მარსელიდან (Marsiglia) გაგზავნა 1675 წლის 21 იანვარს. მასში ავტორი იტყობინება, რომ ცოტა ხნის წინ პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს გაუგზავნა ინდოეთიდან (India) ალექოს (Aleppo) გავლით მიღებული წერილების დასტა, რაზეც პასუხი არ მიუღია არასდროს, რომ ეცნობებინა ამის შესახებ მონიერისთვის (Maunier), რადგან სამი ნავი ჩავიდა უკვე მარსელიდან ალექსანდრეტაში (Alexandretta) შეტყობინების გარეშეო. კიდევ მივიღე დიდი წერილების დასტა იგივე ბატონისგან ალექოდან რომში გადმოსაგზავნად. ისინი გავატანე ლივორნოს (Livorno) გავლით ფრანგ ვაჭრებს სუსანს (Soussun) და ბანს (Bain). გთხოვთ, მიღების დადასტურება გამოატანოთო. ასევე იტყობინება, რომ ალექოში ინფექციური დაავადებებია გავრცელებულიო.

189r-196v – ფრატე ჯუზეპე ანტონიო რომაელის (Fra Giuseppe Antonio Romano) რელაციონეა თბილისიდან (Tiflis) გაგზავნილი პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციისადმი 1675 წლის 15 აგვისტოს. მასში ავტორი აღნიშნავს, რომ 1674 წლის 25 ნოემბრის კარდინალებისგან გაგზავნილი წერილი დიდი პატივით მიიღო. 8 წელია, ჩემი მშობლებისთვის არ მიცნობებია არაფერიო. ვწუხვარ, რომ აზიის ყველაზე ნაყოფიერი მისიის განადგურების დროს ვერ დავიმსახურე ზემდგომთა ნდობა, რომ დაბრუნებულიყვნენ მისიონერებიო. შემდეგ ავტორი საუბრობს იმ უძრავ ქონებაზე, რომელსაც ჯერ პორტუგალიელი ავგუსტინიანელები და იტალიელი თეატინელები ფლობდნენ როსტომის მეფისნაცვლად (Rostom Vice Re) ყოფნის დროს. საუბარია სახლებზე, ვენახებზე, ვილებზე, მიწებსა და ეკლესიებზე. შემდეგ ავ-

ტორი დაწვრილებით აღწერს სომხეთის (Armenia) საპატრიარქო ტახტზე ორი მოწინააღმდეგე მხარეს შორის დაპირისპირებას.

197r-198v – ეპისკოპოს კამილოს (Camillo) წერილია, რომელიც მან მისწერა პროპაგანდა ფილეს წმინდა კონგრეგაციას 1675 წლის 23 სექტემბერს. დაწერის ადგილი უცნობია. მასში ავტორი აღნიშნავს, რომ არ აქვს არავითარი ცნობა საქართველოს (Giorgia) არცერთი კუთხიდან, რომ იქ იმყოფებოდეს კათოლიკე ეპისკოპოსი, რომლის წინაშეც შეძლებდა სომეხი არქიეპისკოპოსი სარწმუნოების აღიარებას, ამიტომ მას ამის გაკეთება შეუძლია საქართველოს (Giorgia) მისიის კაპუცინელი პრეფექტი სერაფინოს (Serafino) წინაშე.

199r-v – ბერნარდო მარია და ნაპოლის (Fra Bernardo Maria di Napoli) წერილია თბილისიდან (Tiflis), რომელიც მან მისწერა პროპაგანდა ფილეს წმინდა კონგრეგაციას 1675 წლის 11 ოქტომბერს. მასში ავტორი აღნიშნავს, რომ უკვე აუწყა კარდინალებს 27 სექტემბერს პრეფექტ სერაფინო და მელიკოკას (P. Serafino da Melicocca) გარდაცვალების შესახებ. ითხოვს შვიდწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მისცენ უფლება, დატოვოს მისია. აღნიშნავს, რომ ოთხი მისიონერია დარჩენილი სამ მისიაში, თან ერთი პადრე ჯუზეპე ანტონიო რომაელი (P. Giuseppe Antonio Romano) მალე მიიღებს იტალიაში (Italia) დაბრუნების ნებართვას და სამნი დავრჩებითო. მათგან მხოლოდ მე ვარ სასულიერო პირი და თბილისში მყოფ კათოლიკებს ვემსახურებით, რომელთა რაოდენობა საგულისხმოაო.

### დამოწმებანი

- დამენია, მაია. 2017. XVII საუკუნეში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის – გაეტანო რასპონის „რეცაცია სამეგრელოს შესახებ“ და მისი მნიშვნელობა ქართული კულტურის კონტექსტში. პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, მასალები [თბილისი 6-8 ივნისი, 2017], თბილისი, 69-82
- დობორჯგინიძე, ნინო. 2012. ზოგიერთი რამ ილიასეული ბარაქაქალას შესახებ. *კადმოსი* 4: 73-115
- დობორჯგინიძე, ნინო. 2013. საისტორიო მესხიერების რეკონსტრუქციისათვის (XVIII საუკუნის საქართველოს უცნობი გეგმები და მოკავშირეები). *ზურაბ კიკნაძე. საიუბილეო კრებული*, 234-257, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- Doborjginidze, Nino. 2014. Religious Inculturation and Problems of Social History of the Georgian Language, in: *Philalethes: Collected Studies*

*Dedicated to the 135<sup>th</sup> Anniversary of Shalva Nutsubidze (1888-1969)*, 2014, Cornelia Horn and Basil Lourié (ed.), 136-157. Leiden-Boston: Brill Publishers

დობორჯგინიძე, ნინო. 2015. უცნობი საქართველო: იტალიის არქივებსა და მუზეუმებში დაცული წყაროების კვლევა და პუბლიკაცია. *მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა* (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), II, 75-82

დობორჯგინიძე, ნინო. 2016. კონსტანტინეპოლის ფერიკვეის ქართული კათოლიკური მონასტრის არქივი ვატიკანში (მასალები ქართული ენის სოციალური ისტორიის კვლევისთვის). *მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა III*, 105-117

თამარაშვილი, მიხეილ. 1902/2011. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი

Doborjginidze, Nino. 2017. Le Missioni cattoliche di Georgia nel periodo di Russificazione. In *ROMA E I GEORGIANI* (CULTURA Studium 109), 212-231. Roma: Studium Editioni